სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**გენდერის კვლევა**[1] Gender Studies
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**გენდერის კვლევის მაგისტრი** **Master of Gender Studies**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**120 კრედიტი (ECTS).** • **პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები** - 50 კრედიტი (ECTS) • **სამაგისტრო ნაშრომი** (სავალდებულო) - 30 კრედიტი (ECTS) • **პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები** - 35 კრედიტი (ECTS) • **თავისუფალი კურსები** - 5 კრედიტი (ECTS) **სწავლის ხანგრძლივობა ორი აკადემიური წელიწადი, ოთხი სემესტრი,** აქედან: სამი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგიტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**მედეა ბადაშვილი,** საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე მიღების წინაპირობებია: • **ბაკალავრის ხარისხი ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი** ნებისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა სოციალურ მეცნიერებებში; • **საერთო სამაგისტრო გამოცდის** ჩაბარება; • სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ

[1] სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევებში არის ამ დარგში პირველი და ერთადერთი სამაგისტრო პროგრამა მთელ კავკასიაში. პროგრამის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო მჭიდრო თანამშრომლობა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრს, შემდგომში გენდერის კვლევის ინსტიტუტს, რატგერსის უნივერსიტეტსა (აშშ, ნიუ ჯერსი) და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (უნგრეთი, ბუდაპეშტი) გენდერის კვლევის პროგრამებს შორის. გენდერის კვლევების ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა მიიღონ დასავლური სტანდარტების შესაბამისი სამაგისტრო განათლება სოციალურ მეცნიერებებში; შეისწავლონ გენდერული თანასწორობის საკითხები სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ ჭრილში; მიიღონ ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული ცოდნა ფემინისტურ და გენდერის კვლევის თეორიებში.

	მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის; • **ინგლისური ენის ცოდნა B2** დონეზე. ამ მოთხოვნის შესასრულებლად კანდიდატს შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი ექვივალენტური ტესტები), ან ჩააბაროს უცხო ენაში თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა; • **წერითი გამოცდა სპეციალობაში;** • **გასაუბრება** (კანდიდატთა საბოლოო შერჩევა ხდება საგანგებოდ შექმნილ კომისიასთან გენდერის კვლევის შესავალ საკითხებზე გასაუბრების საფუძველზე); • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა: • საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა; • ინგლისური ენის გამოცდა - B2 დონე (30 %) - მინიმალური 51 ქულა; • წერითი გამოცდა სპეციალობაში (40 %) - მინიმალური 51 ქულა; • გასაუბრება (30 %) - მინიმალური 51 ქულა.

	გამოცდის საკითხებისა და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რეკომენდაციების ნახვა შეიძლება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევაში ინტერდისციპლინარულია. იგი სტუდენტებს აწვდის გენდერის, როგორც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის შესახებ უახლეს ცოდნას სხვადასხვა თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების საშუალებით, როგორც გლობალურ, ასევე რეგიონალურ და ლოკალურ კონტექსტში. **პროგრამის მიზანია:** • მისცეს სტუდენტებს ფუნდამენტური ცოდნა გენდერის კვლევაში; ხელი შეუწყოს სოციალურად რელევანტური და კრიტიკული ცოდნის წარმოებას მოცემულ დარგში; • სათანადო კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებით მოამზადოს სტუდენტები როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ სფეროში საქმიანობისთვის.
სწავლის შედეგები	*პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი იძენს უახლეს ცოდნას გენდერის, როგორც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის შესახებ; ასევე ცოდნას უახლესი თეორიული მიდგომებისა და პრაქტიკული ამოცანების შესახებ საერთაშორისო და მათ შორის პოსტ-საბჭოთა და რეგიოგნალურ კონტექსტში; მოიპოვებს გენდერული თვალსაზრისით საინტერესო კვლევითი თუ პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიკაციის უნარსა და მათ გადასაჭრელად საჭირო თეორიულ თუ პრაქტიკულ ინსტრუმენტებს;* *ასევე გენდერთან დაკავშირებულ სოციალურ პრობლემების გადაჭრაზე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას;* *გარდა ამისა, სტუდენტს განვითარებული აქვს, ზოგადად, კვლევისა და ანალიზის უნარი, დებატების კულტურა, აკადემიური წერის, პრეზენტაციისა და ჯგუფური მუშაობის უნარები;* *იძენს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი სოციალური კვლევების დაგეგმვისა და ჩატარებისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას და გამოცდილებას.* *სტუდენტს ასევე აქვს შემეცნებითი საქმიანობის მარეგულირებელი ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ცოდნის ძიების პრიორიტეტი, მკვლევრის*

	კეთილსინდისიერება და ობიექტურობა, აზროვნების ღიაობა. *პროგრამის კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულები როგორც პრაქტიკულ სფეროებში დასაქმების, ისე დოქტორანტურაში აკადემიური კარიერის გაგრძელებისათვის. პროგრამის ყოფილი სტუდენტები მუშაობენ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე სამთავრობო უწყებებში ექსპერტებად, მკვლევრებად.*
ა) ცოდნა და გაცნობიერება *ბ) უნარი* *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:** 1. ინტერდისციპლინური მიდგომის სპეციფიკის გათვალისწინებით, სისტემურად და სიღრმისეულად აღწერს და განმარტავს გენდერის კვლევის თეორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს; გენდერული კვლევებისთვის რელევანტურ კვლევის მიდგომებს, მეთოდებს, პროცედურებსა და პრიორიტეტებს; 2. განსაზღვრავს გლობალური, რეგიონალური და ლოკალური უთანასწორობის მიზეზებს, მათ შედეგებს და მათი ეფექტურად გადაჭრის გზებს; 3. აცნობიერებს გენდერული სამართლიანობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობასა და სახელმძღვანელო პრინციპებს; 4. კრიტიკულად იაზრებს ფემინისტურ თეორიებს, ქალთა უფლებებსა და მოძრაობებს, როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე პერსპექტივაში. 5. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში გენდერის ან/და ფემინისტურ კვლევას და მიღებულ შედეგებს აანალიზებს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; 6. წარადგენს საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებსა და კვლევის შედეგებს, როგორც აკადემიურ, ასევე, პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით;

	7. სრულყოფილად აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას აკადემიური კეთილსინდიერების განვითარების პროცესში, მათ შორის, პლაგიატის პრევენციისას; 8. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლის პროცესს; 9. მართავს კომპლექსურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს და ახდენს მასთან ადაპტაციას ადაპტირება; 10. წვლილი შეაქვს პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში.
ს წავლება-სწავლის მეთოდები	პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია ხელს უწყობს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას და მორგებულია სტუდენტების ინტერესებსა და საჭიროებებზე: სწავლა-სწავლების მეთოდებია - ლექცია; სემინარი; შემთხვევის შესწავლა; როლური და სიტუაციური თამაშები; გონებრივი იერიში; ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდი; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტების მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; წიგნზე მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; ელექტრონული სწავლების (E-learning) მეთოდები;
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.* *დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.* **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

	• **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; • **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: • **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო

	დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება** **სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.** სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[2].“ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **ა) აქტუალობა - 5 ქულა** (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა** (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). **გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა**

[2] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

	(ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). **ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა** (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა** (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).
დასაქმების სფეროები	გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფერო ვრცელია: • სამთავრობო უწყებები (ექსპერტებად და მკვლევარებად); • საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები; • კვლევითი ცენტრები.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.

	სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში უმეტესწილად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და ასევე მოწვეული პროფესორები. **პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი:** ➢ **პროფესორი** 1: გ. მაღრაძე. ➢ **ასოცირებული პროფესორი** 6: - მ. ბადაშვილი, - თ. მატარაძე, - ლ. წულაძე, - ი. იაშვილი, - ლ. გაფრინდაშვილი, - ე.ფირცხალავა (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი). ➢ **ასისტენტ-პროფესორი 1:** - ლ. ტუღუში. ➢ **მოწვეული ლექტორი** 13: - ა. რეხვიაშვილი, - ნ. არჯევანიძე, - ა.გოგბერაშვილი, - თ. თათარაშვილი, - ლ. ჯალაღანია, - თ. საბედაშვილი, - ქ. ჩხეიძე, - შ. ლორთქიფანიძე, - დ. ცქიტიშვილი, - მ. მესხი, - ნ.ნადირაშვილი, - გ.ურჩხუხიშვილი, - ივ.კეჭაყმაძე. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** ➢ თსუ-ს კომპიუტერული ბაზები;

	➢ თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ➢ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); ➢ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library ➢ თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ ➢ თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus დასხვა.https://www.tsu.ge/ka/library/page/893 ➢ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ➢ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ხორციელდება თსუ-ს II კორპუსში სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბაზაზე, სადაც განთავსებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკა[3] და კომპიუტერითა და ინტერნეტით უზრუნველყოფილი საკლასო ოთახი.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ).
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

[3] **სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკა,** რომელიც პროფესორ ედუარდ კოდუას სახელს ატარებს, გამიზნულია თსუ სოციალურ მეცნიერებათა პროფილის (სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგია) მაგისტრანტებისთვის. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება 6000-მზე მეტი ტომისგან. აქედან 600-ზე მეტი მიეკუთვნება გენდერის/ქალთა/ფემინისტური კვლევებს. წიგნების უმრავლესობა ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზეა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ელექტრონული კატალოგის სისტემით და უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო წიგნების ავტომატურ მოძიებას.

	• სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ .
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს საშუალოდ 10 სტუდენტი. კურსების უმრავლესობის დიზაინი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნისა და გაცნობიერების გადაცემას; ასევე მათში კვლევის, აკადემიური წერის, ზეპირი კომუნიკაციისა და პრზენტაციის, აკადემიურ დებატებში მონაწილეობისა და მათი წარმართვის, ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარებას. სახელდობრ, გარდა თეორიული ტექსტების სოლიდური რაოდენობით შესწავლისა, სტუდენტებს მოეთხოვებათ თხზულებების, კრიტიკული რეაქციებისა და

	რეცენზიების წერა, პრეზენტაციების მომზადება, დისკუსიებში მონაწილეობა, ჯგუფური დავალებების მომზადება. რამდენიმე კურსი, ისევე, როგორც სამაგისტრო შრომა, ითვალისწინებს სტუდენტების მიერ დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვას, ჩატარებას და შედეგების წერილობით წარმოდგენას; ერთი კურსი ითვალისწინებს პრაქტიკული საპროექტო წინადადების მომზადებას; ხოლო სხვა კურსი ითვალისწინებს საჯარო პოლიტიკის ანალიზის ნარკვევების წერას - ეს კურსები უზრუნველყოფს სტუდენტებში თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას. რამდენადაც პროგრამის კურიკულუმის შემადგენელი კურსების უმრავლესობა ეხება გენდერული სამართლიანობის საკითხებს, ისინი სტუდენტებში ავითარებს სოციალური სამართლიანობის იდეასთან დაკავშირებულ ღირებულებებს; ასევე ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკურ ჩართულობას და პასუხისმგებლობას, ანგარიშმგები და გამჭვირვალე საჯარო პოლიტიკის მოთხოვნას. ხოლო უფრო თეორიულად ორიენტირებული კურსები და კურსები, რომლებიც კვლევის მეთოდებისა და უნარების ათვისებაზეა ორიენტირებული, იმავდროულად სტუდენტებს უვითარებს კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელ ღირებულებებს, როგორებიცაა ცოდნის პრიორიტეტი, მკვლევრის კეთილსინდისიერება და ობიექტურობა, კვლევის რეფლექსურობა და მკვლევრის სოციალური პოზიციის პოლიტიკური შედეგების გაცნობიერება და სხვა. გენდერის კვლევის პროგრამას ჰყავს მხარდამჭერთა ფართო ჯგუფი, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე. პროგრამა თანამშრომლობს ადგილობრივ ფონდებთან, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე. პრაქტიკა სტუდენტებს აძლევს სწავლით მიღებული ცოდნის ცხოვრებაში დანერგვის, გამოცდილების შეძენის, ინტერესთა სფეროსა და კონტაქტების ქსელის გაფართოების საშუალებას. პროგრამა ასევე ქმნის სივრცებს სტუდენტებისთვის კონფერენციებში მონაწილეობისა და

	აკადემიურ გამოცემებში მათი ჩართვისათვის. ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, პროგრამის ბაზაზე გამოიცემა ყოველწლიური ციფრული აკადემიური ჟურნალი გენდერის კვლევაში „ხმა ქართველი ქალისა: ასი წლის შემდეგ“.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტკურ მენიერებათა

მიმართულება: ინტერდისციპლინური

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: გენდერის კვლევა

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: მედეა ბადაშვილი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021; № 69/2021 (დანართი 43)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): № 32541; 27/12/2021 – 31/12/2028 https://eqe.ge/ka/deqars/453/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2020 – 2021 გაზაფხულის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[4] ნომერი და თარიღი): №22/2022 – 11/03/2022; №61/2022 - 26/07/2022; №95/2022 – 07/10/2022; №4/2023 - 23/01/2023; №91/2023 – 11/09/2023; №62/2024 – 29/04/2024

[4] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგამანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები - 80 კრედიტი (ECTS):													
სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი (ECTS) სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS)													
N	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**ECTS**	**სტუდენტის საათობრივი დატვირთვა**					**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**				**ლექტორი / ლექტორები**
			ლექცია	**სემინარი/პრაქტიკუმი**	**გამოცდის დრო**	**დამოუკიდებელი მუშაობა**	**სულ**		**I**	**II**	**III**	**IV**	
1.	გენდერი და განვითარება	5	15	30	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓				თამარ საბედაშვილი მარიამ ჭანჭალეიშვილი
2.	გენდერი, ოჯახი და რელიგია პოსტსოცალისტურ სივრცეში	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓			მედეა ბადაშვილი
3.	სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				თეონა მატარაძე
4.	სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓			თეონა მატარაძე

5.	გენდერის და ფემინისტური თეორიები	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓				ანა რეხვიაშვილი
6.	აგენტობა, სუბიექტურობა და სოციალური ცვლილება	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓			მედეა ბადაშვილი
7.	ზრუნვის პოლიტიკა	5	15	15	4	91	125	გენდერის და ფემინისტური თეორიები			✓		ანი გოგბერაშვილი
8.	კვლევითი პროექტის დიზაინი	5	15	15	2	93	125	გენდერის და ფემინისტური თეორიები; სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები			✓		ნარგიზა არჯევანიძე
9.	ქვიარ თეორია	5	15	15	4	91	125	გენდერის და ფემინისტური თეორიები		✓			ლია ჯალაღანია
10.	სასწავლო პრაქტიკა/სტაჟირება	5	-	45	-	80	125	გენდერის და ფემინისტური თეორიები; სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები			✓		მედეა ბადაშვილი ნინუცა ნადირაშვილი
11.	სამაგისტრო ნაშრომი	30	60			690	750	სავალდებულო კურსები				✓	სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
არჩევითი კურსები - 35 კრედიტი (ECTS)													

12.	გენდერის სოციალურ-პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა (სოციოლოგიის სამაგსიტრო პროგრამიდან)	5	15	15	4	91	125	გენდერის და ფემინისტური თეორიები		✓			ლელა გაფრინდაშვილი
13.	ჯანმრთელობის პოლიტიკა	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓			მედეა ბადაშვილი
14.	მიგრაციული პროცესები და გეოგრაფია (დემოგრაფიის და მოსახლეობის გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓				ია იაშვილი
15.	საჯარო პოლიტიკის ანალიზი - გენდერული მიდგომები	5	30	15	6	74	125	გენდერი და განვითარება		✓			ლაშა ტუღუში
16.	სუბკულტურის სოციოლოგია (სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	3	92	125	წინაპირობის გარეშე			✓		ლია წულაძე
17.	სოციალური გავლენები და ჯგუფის დინამიკა (გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამიდან)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓			ეკატერინე ფირცხალავა
18.	გენდერი კინოსა და ეკრანულ მედიაში	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓				თამთა თათარაშვილი
19.	გენდერი და უსაფრთხოება	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე			✓		შორენა ლორთქიფანიძე
20.	გენდერი, ნაცია და სახელმწიფო	5	15	15	4	91	125	გენდერის და ფემინისტური თეორიები			✓		ქეთევან ჩხეიძე
21.	ფემინისტური სამართლის თეორია და კრიტიკა	5	15	15	3	92	125	წინაპირობის გარეშე			✓		ლია ჯალაღანია
22.	მშვიდობის მშენებლობა	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				გუგული მაღრაძე

23.	გენდერი და ეკონომიკური პოლიტიკა	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓				დიმიტრი ცქიტიშვილი
24.	ქალის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი ასპექტები	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓			მარინე მესხი
25.	პოსტკოლონიური და დეკოლონიური თეორიები	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓			მაია ბარქაია
26.	მასკულინობების სოციოლოგია	5	15	15	6	98	125	წინაპირობის გარეშე		✓			გიორგი ურჩუხიშვილი
27.	კვლევის ფემინისტური მეთოდოლოგია	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე			✓		მედეა ბადაშვილი
28.	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის (SPSS) *(კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე			✓		ივანე კეჭაყმაძე
29.	გენდერული ბიუჯეტირება, როგორც საჯარო ფინანსების მართვის ინსტრუმენტი	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓			შორენა კახიძე
თავისუფალი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი (ECTS)													

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი